

## მანიფესტი #actout (მსახიობების მიმართავა საზოგადოებას)



ჩვენ აქ ვართ და ჩვენ ბევრნი ვართ!

„ჩვენ“ ვართ ლესბოსელი, ჰომო-, ბი-, ტრანს-, ქვიერ-, ინტერსექსუალური ორიენტაციის და არაბინარული გენდერის მქონე მსახიობები.

აქამდე, ჩვენი პროფესიისთვის საზიანო შედეგების თავიდან ასაცილებლად, ჩვენს სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას არ ვამხელდით. ყველას მიგვიღია რჩევა - იქნებოდა ეს აგენტებისგან, ჩვენი კოლეგებისგან, პროდიუსერებისგან, რედაქტორებისგან, რეჟისორებისგან და ა.შ. - რომ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის გამოქვეყნება საფრთხეს შეუქმნიდა ჩვენს კარიერას.

ეს უნდა დასრულდეს!

ამჯერად ჩვენ ვდგამთ ნაბიჯს, რათა გავხდეთ ხილულნი.

„ჩვენ“ ვართ მსახიობები, რომლებმაც წარსულში გაბედეს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საჯაროდ გახმობა - ასევე ვართ მსახიობები, რომლებიც ახლაც იგივეს ბედავენ. „ჩვენ“ ვართ ახალგაზრდა, დამწყები მსახიობები. აგრეთვე „ჩვენ“ ვართ წარმატებულ, გამოცდილ მსახიობთა თაობა. „ჩვენ“ იმ გენერაციას მივკუთვნებით, რომელიც ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც ჰომოსექსუალობა ჯერ კიდევ სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა. „ჩვენ“ ამასთანავე ვართ „ელიოტ პეიჯზე“ უფრო ახალგაზრდა თაობაც. „ჩვენ“ ვართ წარმოშობით სოფლებიდან, ქალაქებიდან, მიგრაციის გამოცდილების მქონე ადამიანები, მრავალფეროვანი ადამიანები და მებლუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები; ჩვენ არ ვართ ერთფეროვანი ჯგუფი.

ხშირად გვსმენია, რომ სექსუალური ორიენტაციის, ან გენდერული იდენტობის საზოგადოდ გახმობის და გასაჯაროების შემთხვევაში, ჩვენ შევიზღუდებოდით ჩვენს პროფესიულ საქმიანობაში; თითქოსდა ჩვენი ამდაგვარი სრულიად პირადი სივრცის გამოააშკარავება ხელს უშლის პერსონაჟების შექმნას, მათთან ურთიერთდამოკიდებულების გამოხატვას ან ხასიათების შესრულებას სცენაზე, თითქოსდა ჩვენი სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა შეუთავსებელია ჩვენს პროფესიულ შესაძლებლობებთან, თითქოსდა ამით მაყურებელს აკლდება დამაჯერებლობა ჩვენს მიერ განსახიერებულ როლებში.

ეს შეუთავსებლობა არ არსებობს.

ჩვენ მსახიობები ვართ და ვასრულებთ როლებს, ჩვენ არ ვართ ჩვენგან განსახიერებული როლების პერსონაჟები - ეს გახლავთ ჩვენი პროფესია.

ჩვენ ვთანამშობთ ცოლებსა და ოჯახის მამებს, საყვარლებსა და სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეებს, მაყურებლისთვის მისაღებ, ან სრულიად მიუღებელ პერსონაჟებს. ხშირ შემთხვევაში ისეთებსაც, რომელთა შეხედულებებს შეიძლება სრულიად არ ვეთანხმებოდეთ. სცენაზე ჩვენ სიცოცხლეს ვართმევთ, ან ვაძლევთ ამ პერსონაჟებს, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში არც მკვლევები ვართ და არც ექიმები. სწორედ ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის მქონე ადამიანების როლებიც განვსახიეროთ. დაგვეთანხმებით, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ჩვენს მიერ შესრულებული პერსონაჟის სექსუალური ორიენტაცია, თუ გენდერული იდენტობა ჩვენს პირად იდენტობაზე მეტყველებს.

ბოლო წლების კინომატოგრაფიული მრავალფეროვნება გვაჩვენებს, რომ თანამედროვე ფილმებისა და სერიალების შემოქმედებითი გარემო ცვლის და აფართოვებს ჩვენს ხედვით აღქმას; იმაზე ბევრად უფრო მეტი, საინტერესო და მრავალპერსპექტივანი მოთხრობის მოყოლა შეიძლება, ვიდრე ამას ისედაც ხშირად მონათხრობმა, ჰეტეროსექსუალი, თეთრი და საშუალო ფენის წარმომადგენელი ადამიანების ისტორიებმა მიგვაჩვია. ამასთან, მათი ხედვით დანახული ნარატივი, ისედაც საკმაოდ ბევრ დროს და უმეტესწილ ყურადღებას იკავებს ჩვენს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში სექსუალური ორიენტაციის, ან გენდერული იდენტობის მრავალფეროვნება დიდი ხანია სოციალურ რეალობას წარმოადგენს, იგი სამწუხაროდ ნაკლებად აისახება ჩვენს კულტურულ ნარატივზე. ჩვენი საზოგადოება და ჩვენი აუდიტორია კი დიდი ხანია მზადაა ამისთვის. ჩვენი ხელოვნების დარგი ერთიან თანადგომას უნდა უცხადებდეს მრავალფეროვანებას. სწორედ იმიტომ, რომ თავად ჩვენი საზოგადოებაც მრავალფეროვანია.

ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას თავისუფალ, თანასწორ, ღია თანაარსებობასა და თანამშრომლობაზე. აგრეთვე სოლიდარობას ვუცხადებთ არათავისუფალი არჩევანის ნიადაგზე სტერეოტიპიზირებულ და მარგინალიზირებულ ადამიანებს. ჩვენ ასევე წინააღმდეგობას ვუწევთ ასაკობრივ დისკრიმინაციას, სქესობრივ დისკრიმინაციას, ან დისკრიმინაციას მებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ. ასევე ვწინააღმდეგებით ანტისემიტობას, კლასიზმს, რასიზმს და ნებისმიერ სხვა დისკრიმინაციას. ჩვენ გვესმის ჩვენი კოლეგებისაც, რომლებიც ამ ეტაპზე ჯერ ვერ ბედავენ საჯარო ნაბიჯის გადადგმას.

ჩვენი პროფესიისა და დარგს მიღმა, ყველას მოგმართავთ - გამოგვიცხადეთ სოლიდარობა, დაგვიჭირეთ მხარი, დაგვიდექით გვერდში!

სიხარულით ველით ყოველ ახალ მონათხრობს, რომლის წარმოსახვასა და აღწერასაც ერთად შევძლებთ.

სამყაროს ცვლილებები სწყურია - ჩვენ კი მზად ვართ ცვლილებებისთვის.